

საქართველო

სურათებიანი ლამაზი

გაზეთის № 181

ლამაზების № 32

პვირა, 14 გარიაშვილისთვე, 1916 წ.

სასიქადულო მანდილოსანი




მკაბერიძე ივანეს ასული სარაჯიშვილისა

ფიქრებში

გულ-ქარიშხლიან ბობოქარ ზღვაზე
 მისცურავს გემი, მიაპობს ზვირთებს;
 მე შიგა ვზივარ და თან მივყვები
 შხამიან სევდას, ნალვლიან ფიქრებს!
 აჰა, დავშორდი მონათ სამეფოს,
 ფუახლოვდები ალთქმის ნაპირებს;
 მშვიდობით, ჩემო ძველო ქვეყანავ,
 გული შენს ნახვას აღარ აპირებს!

დარია ახვლედიანისა.



**

ყრბობის ძვირფასი სიზმრები
 კვლავ აუხსნელი რჩებიან;
 სიციცხლის ტკბილი წუთებიც
 ფლვის სისწრაფით ჰქრებიან...
 ჩვენ ველით ნანატრ ცხოვრებას,
 ბარ-ნიჩაფით კი გვხვდებიან.

და მივქრით, ჰოი საწუთროვ,
 აფრა გაშლილი ნავებით,
 საბედისწერო ზღვის მკერდზე
 მწარე ოხვრით და ვაგებით,
 როგორც მოვსულვართ ამ ქვეყნად
 ცრემლით ავსილის თვალებით...

ქნარი.



ბელგიის საზღვარს გადადიან.

დაწყებული გულის სიმი

მწუხრმა სევდამ გული მოჰკლა,
შავი ნისლი გადმეფარა!
ჩანგის სიმმა იწყა წყვიტა,
მწარე ცრემლი გადმოჰყარა!

წარმეშალა გულის რწმენა,
სანუკვარი იმედები;
სევდამ მსხვერპლად შეიწირა,
ჩემი ფიქრი გულს ნადები.

რალა მრჩება მე ამ ქვეყნად,
თუ მამულს არ მოგეხმარე?!
თუ მის ნაცვლად ჩემი სისხლი
გულ-მკერდზე ვერ მოვადვარე?

მაგრამ ვაი, რომ უბედოდ,
ფიქრი ფიქრად მრჩება, ჰქრება
და მის გულის სასიკეთოდ
გაწვდენილი ხელი მრჩება!..

მამულისთვის შვილსა ვზრდიდი,
ყოფილიყო მტერთან მედგრად,
მაგრამ დროშა ვერ ატარა,
სხვა არგუნა ბედმა ხვედრად!

დღეს კვლავ ცრემლის ნაკადულად
გული იწვის, გული დნება!
კიდევ მსხვერპლი იწირება,
ცისარტყელა არსად სჩნდება,

მთლად დამიწყდა გულის სიმი,
ჩაიფერფლა, ჩაკვდა მარად!
ვით მამული, სულის მტრედიც,
შაფრტყევიანებს ცრემლსა ღვარად!

დ. გაბრუაშვილი.


გამოსალმება

მზედობით! ჩემო სამშობლო მხარევ; აწ გეთხოვები თვალ ცრემლიანი,
ეგებ იქ მოგკვდე უცხო მდელოზე და შენ გებაროს ხუჭუჭ-თმიანი!
მხოლოდ არ ვიცი უკანასკნელად ვინ დამიხუჭავს მომაკედავ თვალებს,
ტიალ მინდორზე ვინ დამიტირებს, ობოლ საფლავზე ვინ ივალალებს?
ჩემი იმედი კვლავ აქ იცოცხლებს, მზიურ ღიმილით სხვა შეიყვარებს,
მე-კი, საბრალოს, იქ დამმარხავენ, მომიხურავენ საფლავის კარებს!
მხოლოდ მთა წმინდა არ დამივიწყებს, რადგან მას მივეც უკვდავი სული,
პირველად ნანა იქ მითხრეს ყრმასა, იქ გავატარე ჩემი წარსული!
ეხლა არ ვიცი ცრუ ბედისწერას საით მიგყვარ დასამარხავად,
რისთვის მაშორებს ოცნების მხარეს, რად მანატრულებს დასანახავად?

ი. დაროშვილი.



ბრძოლის შემდეგ



ახალ სისტემის შორს მსროლელი წარბაზნები.

სტრიკონაგი.

მოუთმენლოვა.

ასე რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს, ვსთქვი: რამე უნდა მოვიმიზეზო და შორით მაინც უნდა ვიხილო იმისი სახლი, იმისი ეზო. გამოვეჩქარე, შენს ფანჯარასთან ფარულად შევედექე, დიდხანს არ სჩანდი; ბოლოს მელირსა და დავინახე მე სანატრელი სახისა ლანდი. იდექე უძრავად, ჩუმად გიცქერდი, გული მიძგერდა, ტანჯვით ვსტკბებოდი; ეჰ, ჩემო, ჩემო, ნეტავ იმ ქამად ოცნებით ვისთან იმყოფებოდი?

გულის თქმა.

მთელი მათელიოს მფლობელი ვიყო, შენს მეტს არავის შევიყვარებდი; იმ დღეს, რა დღესაც შენ დაიბადე საქვეყნო ზეიშს დავამყარებდი. ნაცრის ფერს (რადგან შენ გამოსავს იგი) სამეფო ფერად ვაღვიარებდი, და წმიდა ადგილს, სადაც ბინა გაქვს, ხორციელს არვის გავატარებდი.

ლეგენდა.

იყო მგოსანი და სატრფო ჰყავდა, მისი თვალები ასულდგმულვებდა, მაგრამ სატრფო კი ცივი, გოროზი თვის მკობელს გრძნობა-გულს უწყლულვებდა.

დაჰვმო მგოსანმა ის ძველი კერპი, გულმა ნაღველი გადაიყარა. გავიდა ხანი და მის სანაცვლოდ სხვას უგალობა, სხვა შეიყვარა. ყველას მოსწონდა ქცევა მგოსნისა; ეუბნებოდნენ: „დიდება შენდა!“ და იცი, ჩემო, გამოგიტყდები, რომ ძლიერ მომწონს მეც ეს ლეგენდა.

შურის ძიება.

სატრფომ უბრძანა. მონა-მიჯნური მყისვე ჩაეშვა ზღვის უფსკრულს ძირად ლალ-მარგალიტის ამოსატანად, ქალი კი მარტო დარჩა ნაპირად... ტალღა ხმაურობს, ტალღა გიჟმაჟობს; მამაცი ვაჟი ზღვას აპობს მკლავით, მაგრამ რას ხედავს? იმისი სატრფო მეთევზეს უზის, მისცურავს ნავით. ხმა არ დაუძრავს. ისე წაიღო ზღვად ანაკრეფი მარგალიტ-ლალი, იძია შური და მშობლებისგან მონად იყიდა სხვა ტურფა ქალი. ქალი სტიროდა. ღარიბს მეგობარს და სიქალწულეს ეთხოვებოდა. შეურაცყოფილს მამაც კაბუქს-კი ზღვა და მეთევზე აგონდებოდა.

ვეღრება.

ენდე შენს გამჩენს, სხვებს არ ერწმუნო თვალებს გიხვევენ, შხამსა სთესავენ და რომ დავშორდეთ ჩვენ ერთმანეთსა ბოროტნი ბოროტ ენას ჰლესავენ. სულ ტყუილია, ენდე ჩემ სიტყვას, თავი ანებე ფიქრსა და იქვებს ნუ-თუ ვერა გრძნობ—შენს მეტი ქვეყნად ბედნიერებას ვერ მომანიჭებს!..

მარტოობა.

ცა მოწმენდილი, გაშლილი ველი, მზე მხიარული. მწვანე მიდამო. აქ სევედა-ნაღველს არ აქვს ადგილი, სხვისთვის შევება აქ სამულამო. მე კი ჩამოვტყნი... მეკითხებიან: „რა მოგივიდა, როგორ გამხდარხარ?“ რა უპასუხო—მითხარ, სიცოცხლე! შენ ჩემთან არ ხარ, შენ ჩემთან არ ხარ!!

გ. მეგრელიშვილი.



იპონელთა ხანგრები.



ქვეყანა მაინც ლამაზი არის

I

ქვეყნე ჩამომჯდარიყო, გაგანიერებულ თვალს მოუსვენრად ატრიალებდა და წამდაუწყებ მკერდზე ხელს იდებდა: მძაფრ ტკივილებსა ჰგონებდა.

— ეკლები!.. ეკლები, სულ ეკლები და ეკლები! — წამოიძახა გამწარებულმა. — ახა ღმერთო ჩემო, რას მომჩერებინახართ? არ გამეცლებით?.. ნუ მიბნევთ, ნუ! ნუ მკაწრავთ!.. შენ ვინა ხარ? ვინ მოგცა ნება, რომ აგრე მიცქერი?.. ოოჰ!.. მომავორე თვალი, მომავორე!.. შენ ნარი... გესმის?.. ნარი ხარ!.. შე რაღა გინდა?.. შენ, ტატაშო?.. შენ?!.. შენ, საზიზღარო ასკილო?.. რას გამოგიშვრია ე თითის სიგრძე ეკლები? გერა, ვერ მომატყუებ შენი ნაზი თერთი ყვავილებით!.. იცინით კიდევ?! იცინით?! მომშორდით, მომშორდით! თქვენი სიცილი ბასრზე ბასრია! მრავალ ადგილას გულს მიწყულულებს.. მიდინახართ?.. ჰო, წადით, წადით, ახლოს ნულარ გამეკარებთ!.. შენ რაღას ჩამციებინხარ მოხუცო?.. ნუ, ნუ მიცქერი მაგრე სიბრალულით! ეგ უფრო ღრმად ესვება ჩემ გულსა!.. ოჰ, დილაგ, დილაგ, რათ გათენდი, რათა?! ან თუ თენდებოდი, რატომ ყველას თვალზე მთის სქელი ბურუსი არ გადაფარე?.. დილაგ, მოიხსენ ეგ სამკაული!.. ნუ, ნუ! ნუ სჩადი მაგას! ეკალთა ხროვა არ მასვენებს...

ის ემუდარებოდა, დილა კი არ უსმენდა, ქვეყანას სალხინოდ იწვევდა; თავს სადღეოდლო გვირგვინი დაედგა, ლურჯი ტოლომისათვის კალთები ღრუბელთა ყვავილებით შემოეკარგნა და ისე წამოესხა... ყველაფერი, ყველაფერი მოეხიბლა ლამაზ დედოფალსა! მთებს სახიდან რიდე აეხადნათ, მხრებს

უკან გადაეგდოთ და მიბნედილის თვალთ გამოიყურებოდნენ. ველ-მინდვრებს პირზე ზურმუხტის ღამილი უთამაშებდათ, პატარა მდინარე ალტაცებული მონავარდობდა და თავის ტალღათა ხროვაში ოქროს გვირგვინის ანარეკლებს აციმციმებდა, გიჟმაყი ყვავილებს თავზე მარგალიტებს აყრიდა და ამშვენებდა.

შორს დასავლეთით თეთრით მოსილთა ახალგაზდათა გუნდი გამოჩნდა. უკან ხანში შესულნი მოსდევდნენ: თავი ჭადარბილ შემოფიჭვქოდათ და ძაძა ემოსათ. ყველანი აღმოსავლეთისაკენ ეშურებოდნენ. ლამაზ დედოფლისათვის ქება უნდა ეძღვნათ.

ქვეყნე მჯდომს მოუახლოვდნენ.

— ეკლიან გზაზე ვიარებთ! — დასძახეს ახალგაზდებმა.

— ეკლიანი გზა გაგვივლია! — მისცეს ხმა ხნიერთ.

— ქვეყანა მაინც ლამაზი არის! — სთქვეს ყველამ ერთად.

ის ზეზე წამოიჭრა.

— ოოჰ!.. არა, არა!.. — გაისმა გულის შემხარავი კივილი. — ღმერთო ჩემო, ეკლები!.. ეკლები!.. რა ღრმად მესვება, რა ღრმად!.. მოხუცო, თავს არ დამანებებ, არ დამანებებ?.. რას ჩამციებინხარ, რასა!.. ნუ მელობები!.. ვამიშვი!..

ლაპარაკი შესწყვიტა, მომავალთ მსწრათელ ზურგი შეაქცია და გაიქცა.

II

აგი სული გაუბატონდა გულში. ტურფა ყვავილს ჯოხი შემოჰკრა და კინწი მოსწყვიტა.

— რა ბრალი მიუძღვის, რომ სიცოცხლე მოუსპე? — შეეკითხა გულჩვილი ნიავი და აქვითინდა.

ნიავს ყური არ ათხოვა.

ნორჩს ალვისხეს წვერში ხელი წავაგლო, გადმოხნიქა და ჭახანი მოაღებინა. შუაზე გადატეხილის მცენ-

რის ზედატანი ლაფანით ჩამოეკიდა ქვედა ტანსა და კენესით აშრიალდა. — რას გერჩოდი, ადამიანო, სიცოცხლის წყაროს მომავორე? — შეეკითხა საყვედურის კილოთი მკვლელსა და სული განუტევა. ფოთლები შემოაქცნდა.

ლალი ირემი მოექანებოდა, თავის სილამაზით მიდამოს ჰხიბლავდა.

ისარმა გაიზუზუნა და ბუნების მედიდურს შვილს მუხლი მოეკვეთა, მწვანე სავანეზე დაეცა და კისერი მოეღრიცა.

— რას გიშავებდი, ბოროტის მონაგ ადამიანო?! — წამოიძახა მწუხარებით აღსავსე ხმით და სამუდამოდ თვალი დახუჭა.

ბოროტის მონამ ცნობის მოყვარეობით დახედა თავის მსხვერპლსა და გადინახარა.

— მეც არავინ დამინდო! სული... გაიგე? სული მომიკლეს და გული გამიქვავდა! — სთქვა ხმა მალღივ და იქვე მდებარე ტბისკენ მიტრიალდა.

წყალთა სავანეს მკერდი ამოეზინდა, ზედ თოვლივით თეთრს გედს აქანავებდა და ყრუ დაბალი ხმით ნანას ეუბნებოდა. გედიც ხან სთვლემდა, ტბას უნებებრდებოდა, ხან კი ფირუზის ზედაპირზე ნიავ-ქარივით დაქროლავდა.

— შენც იმათ გაჰყვე! — დაუყვირა ფრინველს გულქვა ადამიანმა და შვილდი მოზიდა.

გედს თეთრი მკერდი წითლად შეეღებდა და უმწეოდ ფრთები ჩამოჰყარა. ნაღვლიანად გადახედა ცასა დედემამიწას და თავის უკანასკნელი სიმღერა შემოსძახა. სიმღერა ტბას მოეფინა, ტბამ მძიმედ ამოიოხრა და აგუგუნდა.

მომღერალს ფრინველს მოგონებთა ჯარი გარს შემოერტყა. თვალწინ ურბოდნენ მეგობართან გატარებული მწარე და ტკბილი ღღენი და რიგ-

რივად ეხატებოდნენ: მწვანე ნაღვლით შემოსილი დარბაზები მჭერტირებულ ხალხებით მოფენილი ველები, მდინარენი, ხან გაშმაგებულნი და ხან დამშვიდებულნი, და უღორანი ტყეები ხან თეთრად და ხან მწვანედ მომზირალნი.

— ქვეყანა მაინც ლამაზი არის! — იძახდა სევდამგვრელი ხმით მომაკვდავი. — შავმა სიკვდილმა შავი ალამი ამიფრიალა, სისხლით ვიცლები... და არვის ვსწყევლი და არვის ვსწყევლი... ქვეყანა მაინც ლამაზი არის! თვალთ მიბნელებდა, ნათელს ვმორდები, მესაიდუმლევ ტბავ, გეთხოვები! აჰა სახსოვრად ეს ჩემი ცრემლი! არავის ვსწყევლი, ნურც შენ დასწყევლი!.. ქვეყანა მაინც ლამაზი არის!..

გედი მღეროდა და ის უნებლიეთ იხიბლებოდა: გული ბოროტისაგან უთავისუფლდებოდა.

გედი მიღუმიდა. ტბამ თავის გაზრდილის სპეტაკი გვამი უფსკრულისაკენ გაიტაცა.

ადამიანს გულს სევდის ლოდი შემოაწვა; გაახსენდა სხვა თავის მსხვერპლიც: ირემი, ალვის ხე, ყვავილი, და გულში ემწვავა, მკერდზე ხელი იტაცა.

— ეკლები! ოოჰ ეკლები! — წამოიძახა გულის მგმირავი ხმით. — ეკლები!.. ეხლა კი მე თვით... მე თვით გავიბნე!..

ცასა და დედამიწას თვალი მოაგლო, ტბას გადახედა და გედის ჰანგები განუშეორდა ყურში, დაწყნარდა და ნელის ხმით წარმოსთქვა:

— რაც უნდა გული ეკლით გამეცსოს, არვის დავსწყევლი!.. ქვეყანა მაინც ლამაზი არის!

ინ-ბანი.



ილიასებური

შაშინ, როცა მამაპაპის სახლკარი თავს მენგრეოდა, ვენახი და ნაფუზვრები ამბარკუმას ეძლეოდა, როცა ძველი სამლოცველო, ქარბუქისგან იქცეოდა,

წმინდა ენა, რჯული, რწმენა ჰქრებოდა და ილეოდა, როცა ჩვენი პირმშო შვილნი მახინჯ აკვანს ირწყეოდა, რა ვაკეთე? რას ვშვრებოდი? მიბრძანებდნენ, — მალლა ვბტოდი,

მშობელ დედას მევე ვგმობდი, ბრტყელის სიტყვით ბრძნულად ვჭობდი, ვესდეკობდი, ვესფერობდი, რაც მებადა, ყველას ვსთმობდი, ხელს ჯიბეში ჩავიყოფდი, ძმა ბიჭებში ვქეიფობდი!